# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:**
თბილისი, რუსთაველის პრ ასპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღია ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73.
მისამართი დეპეშებისთვის: თბილისი ,,საქართველო'' ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:**
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 8 მ. მე-4 გვერდზე—6 მ.
ხამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—300 მ. 1-ლი საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:**
გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე № —10 მ.

წელიწადი მეექვსე. პარასკევი, მარიამობისთვის 27. 1920 წ. № 85 ფასი 10 მანეთი.



ღრმად დამწუხარებული ალექსანდრე მაკარის ძე ნადირაძე. მეუღლე წინდთი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ქ. სიღნაღში გარდაცვალებულ დაუვიწყარ ძმის

**კონსტანტინე მაკარის ძე ნადირაძის**

სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას, 29 აგვისტოს,, ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში.

**მ. ა. გაყონია**

ღებულობს განცხადებებს გაზ. ,,საქართველო''-სთვის

და აგრეთვე სხვა გაზეთებისთვის. მისამართი: სასამართლოს ქ. 52. ტელეფ. 9—25.

მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს,

**თბილისის ტან-სავარჯიშო ს ზოგადოება ,,შევარდენში''**

განათლების სამინისტროს ნება დართვით

**გაიხსნება 8 თვიანი უფასო ქართული**

**ტან-ვარჯიშული სკოლა**

სკოლაში მიიღება ორივე სქესის პირები, საშუალო განათლებით აღჭურვილნი, არა უმცირესნი 18 წლისა და ჯანსაღნი. დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე შეიძლება ჩაირიცხონ საშუალო სასწავლ. 6 კლასის და ზოგის 4 კლასის კურსდამთავრებულნი. სწავლა იწარმოებს დილის 8 ს. — 1 ლ საათამდე.

ყველა კურს დამთავრებულთ მიეცემათ შტატის ადგილი ტან-ვარჯიშობის მასწავლებლისა რესპუბლიკის სასწავლებლებში.

თხოვნები, სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ, მიიღება ყოველ დღე დილის 12-დან—1 საათამდე არა უგვიანეს 15 სექტემბრისა განათლების სამინისტროში ტან-ვარჯიშობის მთავარ ინსტრუქტორის სახელზე. თხოვნასთან უნდა იქნას წარმოდგენილი მოწმობები: 1) განათლების შესახებ და 2) მეტრიკული.

სწავლის დაწყებამდე ყველა გაშინჯულ იქნებიან ექ მის მიერ.

ტანვარჯიშობის მთავარი ინსტრუქტორი.

1—12 6—1.

**ბაღი ,,ედემი'' ვერაზე**

გამოცდილ კულინარების ხელმძღვანელობით ქვემ მზადდება ევროპიულ-აზიური საჭმელები, საგანგებოდ შემენილ საკუთარ სანოვაგისაგან. სარდაფში მრავლად გვაქვს ძველი ღვინო და ნაირნაირი სასმელები. აუზებში ,,ცოცხალი'', უკრავს ევროპიული და აზიური მუსიკა.

✦✦ **საჭიროა** სამხედრო სკოლისთვის. ✦✦

**ლიტოგრაფიული ლენტები**

გამყიდველთ ვთხოვთ მოიტანონ სკოლის კანცელარიაში

1—385—1



**დამფუძნებელნი დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო**

# ბანკისა

**ქ. ქუთაისში,**

ამით აცხადებენ, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ამა წლის 15 ივლისს

**ხსენებული ბანკის წესდება დაამტკიცა.**

ძირითადი თანხა ბანკისა პირველ ხანად არის განსაზღვრული ოცი მილიონი მანეთი (20,000,000 მ.) თითო აქცია ღირს ასასი მანეთი მ.) ოცი აქცია იძლევა ერთი ხმის უფლებას.

ხელის მოწერის დროს უნდა იქნეს შემოტანილი აქციის ღირებულების ნახევარი და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად ერთდროულად ორმოცდა ათი მანეთი (50 მ.) თითო აქციაზე. ხელის მოწერა მიიღება 4 სექტემბრამდე შემდეგ ბანკებში: ქუთაისში: სამეურნეო-სამრეწველო და საურთიერთო ნდობის საზოგადოებებში. თბილისში: ცენტრალურ ბანკში, ამიერ-კავკასიის ბანკში და სამეურნეო ნდობის საზოგადოებაში. ბათომში: საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში. ფოთში: ქართულ სავაჭრო ბანკში. ჭიათურაში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, სენაკში, ზუგდიდში და ხონში ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოებებში.

1—9—4


## განცხადება.

მიიღება სამხედრო სკოლაში განყოფილებებით: ქვეითა ჯარისა, საარტილერიო, ცხენოსანი ჯარისა და საინჟინერო დანიშნულია 1920 წ. 1 ენკენისთვეს.

სკოლაში მიღებული იქნებიან ახალგაზდანი (საქართველოს ქვეშევრდომები) წლოვანებით 17—25 წლ.

შენიშვნა: ცოლიანები სკოლაში არ მიიღებიან; სწავლის კურსი 2 წლ.

მსურველთ თხოვნა სამხედრო სკოლის უფროსის სახელზე უნდა შემოიტანონ და დაურთონ შემდეგი დოკუმენტები:

1. მოწმობა ჯარის კაცთა გამწვევ უბანზე მიწერის შესახებ.
2. ატესტატი საშუალო სასწავლებლის კურსის დამთავრებისა; შეიძლება აგრეთვე ატესტატი და მოწმობა იმ იმ სასწავლებლის, რომელთაც საშუალო სასწავლებლების უფლებები აქვთ მინიჭებული.
3. მოწმობა სამართალში არ ყოფნის შესახებ.
4. მეტრიკული მოწმობა.
5. ერთი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი.
6. მოწმობა ქვეშევრდომობისა (ასეთი მოწმობა უნდა წარმოადგინონ არა ქართველებმა).

მედიცინური გასინჯვა სკოლაში შემომსვლელთა დანიშნულია 29 და 30 მარიამობისთვეს ა | წ. ამ ხნის განმავლობაში ვინც შემოიტანს დოკუმენტებს უნდა გამოცხადდეს სკოლაში შესამოწმებლად.

საბოლოო კითხვა ამ ახალგაზდების სკოლაში მიღებისა, რომელთაც შემოიტანეს დოკუმენტები, გამოირკვევა პირველ ენკენისთვეს ე. ი. მედიცინური გასინჯვის შემდეგ.

სწავლა ქართულ ენაზე იქნება—ქართული ენის ცოდნა აუცილებელია.

სამხედრო სკოლის უფროსის თანამდებობის დროებითი ამსრულებელი პოლკოვნიკი ჩხეიძე.

სკოლის ადიუტანტი კაპიტანი ხელაშვილი.

3086. 1—1.


**სხვაგან სად! თუ არ სასადილო**

**,,ტამირში''!**

(ყოფილი ,,ეკონომია'') მთავრის ქუჩა

**პუშკინის ბაღის პირდაპირ**

ვისაუზმოთ დილ. 10-12 ს.

ვისადილოთ ,, 12--6 ს.

ვივახშმოთ ,, 6--12 ს.

მერ-იმერულ გემრიელ საჭმელებით, და დავლიოთ: მაგარი სასმელები და მადნეულ წყლები.

**მობრძანდით და დარწმუნდით.** თვ.


**,,ბარგი პოლიტიკის'' შ...**

**დები**

რაც დრო გადის, საქართველოს რ...
პუბლიკის ეკონომიური ვითარება უფ...
და უფრო უარესდება; პარალელურ...
მოვლენასთან, გარნა უფრო ჩქარის ტ...
პით, უარესდება მისი ფინანსიური მდ...
მარეობაც. თუ ჩვენი დამოუ...
ებლობის პირველი წლის დეკემბერ...
გირვანქა სტერლინგი 30—40 მან...
ღირდა, დღეს, რესპუბლიკის დამოუ...
დებლობის მესამე წლის აგვისტო...
იგივე გირვანქა 5.500 მან. ფასობს...
ორი წლის განმავლობაში, საქართველ...
დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ერ...
ასად მეტი შესჭამა, ვიდრე გაა...
პროგრესიულად კლებულობს წარმო...
და მასთან ერთად ქვეყნის ნივთიერი შ...
მოქმედება და ავლადიდებაც. ყველაზ...
უფრო ცხადათ და საგრძნობლად ეს, ...
დარებით მალული, მოვლენა ქართუ...
ბონის ღირებულებაში ცხადდება.

ჩვენი ეკონომიური პოლიტიკით და ...
თოდით ქვეყანა დიდმართში დავაყენ...
ვეთ და ევროპის ინდუსტრიულ და ...
ნანსიურ წრეებში მარტოოდენ ეჭვები ...
უნდობლობა დავიმსახურეთ. ქონების ...
დაადგილება, რეკვიზიცია-კონფისკაც...
ის წესით, მისი გადაცემა ერთი ხე...
დან მეორეში, სახლებისა და ქარხნე...
გაზვირებული ჩამორთმევა შლის და ან...
გურებს ეკონომიური შემოქმედების ...
ფუძეებს. ეს ახირებული ,,განსა...
გადოების'' წესი, რომლის აპოლოგ...
აწევა სოციალ-დემოკრატიული იდ...
ლოგია და რომელიც იმაში მდგომა...
ობს, რომ კერძო პირს წაართვა ...
ერობას ან მუნიციპალიტეტს გადას...
არსებითად ბოლშევიკური წესია;...


××●×× საზოგადოების საყურადღებოთ ××●××

**დავით იაგორის-ძე კალანდაძე**

აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ სარექტიფიკაციო ქარხანა

**კონიაკის, არაყის და ლიკიორის**

**მ. ნ. აივაზოვისა**, ყოფილი სავაჭრო სახლი ამ. **სეილანოვებისა** პირველ მარიამობისთვიდან გადმოვიდა მის საკუთრებათ. ახლო ხანში სასმელები გამოვა **კალანდაძის** ფირმით— სადგურის ქ. № 5, სახლი სომხების სასულიერო სემინარიის.

27

# დღეს

ფრანგული ცნობით პოლონელებმა ხელთ იგდეს 35,000 წითელი არმიელი ტყვე და 100 ზარბაზანი.

დანციგ-ვარშავის მიმართულებით გენერალური ბრძოლა სწარმოებს.

ბოლშევიკური ცნობით პოლონელებმა უარი სთქვეს საბჭოთა რუსეთის მიერ წარდგენილ საზავო პირობებზე.

ვრანგელის ჯარი ყუბანისკენ წინ მიიწევს.

საფრანგეთის სინდიკალისტები ბოლშევიკების წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან.

ლიუცერნის კონფერენციაზე მოკავშირეთა პრემიერებმა გადასწყვიტეს პოლონელებმა საბჭოთა რუსეთის საზავო პირობები არ მიიღოს.

## წერილები.

მეთაური: „კარგი პოლიტიკის“ შედეგი.

ინბანი: ბუტიები.

ჩვენი კორესპონდენტები:

ქუთაისი. გორი.

---

ლო თუ ბოლშევიკებმა ეს წესი ერთბაშად, ბოლშევიკურად მოიმარჯვეს და რუსეთიც მათი ბატონობის პირველსავე თვეში დაამხეს, მენშევიკებმა ჩვენში ამ წესს უფრო ნელი ხასიათი მისცეს და ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობასაც ევოლიუციურად ანადგურებენ. ამიტომაც რაც რუსეთში ერთბაშად თვალში გეცემა და უცებ გაშფოთებს ის ჩვენში უფრო შეუმჩნევლად გეპარება და გიჩვევს. თუ ფაქტებს მიუდგომლობის თვალებასარ წავართმევთ, ჩვენი ქვეყნის ორი წლის ცხოვრება ამგვარ დასკვნას ეჭვ-მიუ ანელ სინამდვილეთ წარმოგვიდგენს. ამ ჩვენი ეკონომიურ სისტემის თუ უსისტემობის საფუძველზე ადვილი შეიქმნა ყოველგვარი სპეკულიაციადა ჩვენს მტრებს ადვილი საშუალება მიეცა ჩვენი დაზიანების; ავადმყოფ სხეულს ადვილად ესევა პარაზიტი და მიკრობი და სიცოცხლის დღეს უწრაფვის. ხოლო ყველაზედ უფრო საგრძნობი ადგილი მთელი სხეულის ასატკივებლად არის, ჩვენს პირობებში, ქართული ბონი. და მტერნიც სწორედ აქ გვიშენებ თავიანთ მოწამლულ ისრებს. ამგვარად ნიადაგს ამზადებს ჩვენი პოლიტიკა და ამ ნიადაგზედ მოღვაწეობს ყველა პარაზიტი და სპეკულიანტი; მძაფრი ის არის, რომ სპეკულაციას, ვერ გაექცა ვერც ერობა, ვერც მუნიციპალიტეტი და ვერც თვით მთავრობა. ყალბი სისტემა ყველას ერთნაირად ითრევს და ავადმყოფობის შედეგები ყოველ სხეულს ერთნაირად გამოჩნდება. ეს არის ეკონომიური კანონის აუცდენელი შურისძიება. და ამ შურისძიების ბრჭყალებში დღეს მთელ ქვეყანა მოექცა და მას სუნთქვა შეუდგა.

ჩვენი ბონი, რომელიც ჩვენდა საშველად შემოვიღეთ, ჩვენი ალებ-მიცემობისა და ეკონომიური ცხოვრების მოგვარება—დასაწინაურებლად, შეიძლება საქართველოს რესპუბლიკის მესაფლავეთ გახდეს, თუ ვიჯიუტეთ და განვაგრძეთ არსებული პოლიტიკა. ჩვენი ბონის სწრაფმა დაცემამ ჩვენი საზოგადოებრივი აზრი და მთელი ხალხი ააწრიალა. ყველა შიშ-დაცემულია, როგორც უკანასკნელი სოფლელი, ისე ქალაქის პირველი სოვდაგარიც ვინაიდან ეს ისეთი ჩაქუჩია, რომელიც ყველას ერთნაირად სცემს და რომელიც მთელს ქვეყანას ერთნაირად ანადგურებს. და არც არის ნიშნები რომ ვენი ფულის დაცემა ახლო მომავალში შეჩერდეს და თუ ეს ასე გაგრძელდა, შეიძლება მთელი საქართველო ორმა თუ სამმა ათეულმა მილიონ სტერლინგმა საჯარო ბაზრობაზედ შეისყიდოს და მთელი ჩვენი ქვეყანა ყურმოჭრილ მონად გიდაიქცეს.

თუ ბონის დაცემამ ამ გზით იარა, მალე ევროპიული ფირმები სრულიად შესწყვეტენ საქონლის შემოტანას, ვინაიდგან მათი საქონლის ყიდვა საქართველოს მოქალაქეს არ შეეძლება.

ქვეყანას კატასტროფა უახლოვდება, ცხადად და მალულად. ამას ყველა ჰხედავს და ყველა რეალურად განიცდის ამ მოვლენის მეტად მძიმე შედეგებს.

როგორც სჩანს, ამას არ ხედავს მხოლოდ გაზეთი „ერთობა“, რომელიც გულ კრიმანჭულში ერთობა და ხოტბას ასხამს მმართველი პარტიის ეკონომიურ პოლიტიკას.

აფსუს!..

---

# დეპეშები

## ინგლისური პრესა.

### ბოლშევიკები და ინგლისი.

„რუზიენ კუტიუკი“ წერილში, რომელსაც სათაურად აქვს „ბოლშევიკები დასცინიან ინგლისელებს“, სწერს: ბოლშევიკები არ მალავენ თავის დაცინვას ინგლისის მთავრობის მიმართ. საბჭოთა რუსეთის დელეგატებთან მოლაპარაკების გამო წერილის ავტორი გაკვირვებით იძლევა კითხვას, როგორი შეიძლება დაშვებულ იქმნას მოლაპარაკება კლასიკურ კაპიტალიზმისა და ბოლშევიზმის წარმომადგენლებისაო.

### ბოლშევიკების მუშაობა სკანდინავიის სახელმწიფოებში.

ადგილობრივი პრესის ცნობით რუსეთიდან ჩამოვიდნენ გადმოხვეწილი შვედები. ისტოლვილნი ამბობენ, რომ ბოლშევიკების მთავრობა დიდ ღონისძიებას ღებულობს სკანდინავიის სახელმწიფოებში თავის პროპაგანდის გასავრცელებლათ. გადაწყვეტილი აქვთ ზოგიერთი შვედი კვალიფიციური მუშა, მოიწვიონ მოსკოვში, და მისცენ დიდი ხელფასი, იმ მიზნით, რომ შემდეგ ისინი შვეციაში ბოლშევიზმის აგენტებათ გახადონო.

## ფრანგული პრესა.

### ხალხთა ლიგის შემწეობით მსოფლიო მრეწველობის აღდგენა.

ხალხთა ლიგის საბჭომ მიანდო მთავარ მდივანს იმ სახელმწიფოთა სიის შედგენა, რომელთაც სამრეწველო ცხოვრება განვითარებული აქვთ. განზრახულია მოიწვიონ ხალხთა ლიგასთან მრეწველთა საერთაშორისო საგანგებო ყრილობა, რომელმაც მსოფლიო წარმოების აღდგენის საკითხი უნდა განიხილოს იმ სახელმწიფოებმა, რომლებშიაც მრეწველობა მეტად განვითარებულია, მათ უნდა აღმოუჩინონ ტეხნიკური დახმარება იმ სახელმწიფოებს, რომლებშიაც მრეწველობა ნაკლებად არის განვითარებული.

### ხელშეკრულება ოსმალეთთან.

„ტანი“ გადმოგვცემს: ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულებას ხელი სევრში მოაწერეს. სხდომას მილიერანი თავმჯდომარეობდა. ხელშეკრულებას შემდეგ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი: გერმანიის, ავსტრიის, ბულგარეთის, და უნგრეთის. გარდა საზავო ხელშეკრულებისა მოკავშირეთა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს კიდევ 4 ოქმს, რომლებიც ოსმალეთთან მოსაზღვრე სახელმწიფოების საზღვარს და სხვა სადავო საკითხებს შეეხებოდა. ხერბეთი და გეჯასი საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ცერემონიალს არ დასწრებია. არჩევს რა საზავო პირობებს „ტანი“ აღნიშნავს, რომ ოსმალეთმა ახლა თავის არსებობის უფლება მშვიდობიან ცხოვრებისა და ეროვნულ ვაჭრობა მრეწველობის აღდგენით უნდა დაამტკიცოს.

### პრემიერების თათბირი ლიუცერნში.

თანახმად პრესის ცნობებისა, ლიუცერნში მომხდარმა აზრთა გაცვლა გამოცვლამ გამოაშკარავა ის თანხმობა, რომელიც არსებობს ინგლისის და იტალიის მთავრობებს შორის ევროპაში მშვიდობიანობის სასწრაფოდ აღდგენის შესახებ. ორივე პრემიერებმა განაცხადა, რომ პირობები, რომლებიც საბჭოთა რუსეთმა პოლონეთს წაუყენა მიუღებელიაო და ამას დასძინეს, თუ ბოლშევიკებმა დაჟინებით მოითხოვეს ასეთ პირობების მიღება და განაგრძეს ომი პოლონეთთან, მაშინ არც ერთ თავისუფალ მთავრობას არ შეუძლია საბჭოთა მთავრობასთან საზავო მოლაპარაკების წარმოება.

### მოკავშირეთა საერთო გეგმა პოლონეთის დასახმარებლად.

ოფიციალურად იუწყებიან, რომ ლოიდ ჯორჯმა და ჯიოლიტმა წინადადება მისცეს საფრანგეთის მთავრობას პოლონეთის დასახმარებლად შეთანხმებულ მოქმედების შესახებო.

### ბოლშევიკების დამარცხება.

პოლონეთის პირველმა არმიამ ჩრდილოეთის ფრონტზე ბოლშევიკები სასტიკად დაამარცხა. პოლონელებმა მლავა და პასინი აიღეს. დასავლეთის ფრონტზე პილსუდსკის ჯარი შეტევას განაგრძობს, სამხრეთით ბოლშევიკების კავალერიამ (დამახ.) დასტოვა.

### შეერთებული შტატების წინადადება პოლონეთს.

თანახმად ჰავასის სააგენტოს დეპეშისა, შეერთებულმა შტატებმა ვარშავაში მყოფთათვის რწმუნებულს მიანდო: გაფრთხილოს პოლონეთი, რომ უკანასკნელმა თავის ეტნოგრაფიულ საზღვრებს არ გადააბიჯოს.

### ინგლის-იტალიის პოლიტიკა რუსეთ-პოლონეთის საკითხში.

ინგლისს და იტალიას ბოლშევიკების საზავო პირობები მიუღებლად მიაჩნიათ. ბოლშევიკები მათი აზრით პოლონეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგნი არიან. განსაკუთრებით მიუღებლათ მიაჩნიათ (დამახინჯებულია) პოლონეთის მუშათა კლასისათვის.

### ნორვეგია და საბჭოთა რუსეთი.

სტორტინგის გადაწყვეტილებას, საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების განახლების შესახებ პრესა დიდ ყურადღებას აპყრობს. ეს საკითხი აღძრა სოციალისტთა ჯგუფის ერთ დეპუტატს ჩრდილოეთ ნორვეგიაში სასურსათო საქმის გართულების გამო. ჩრდილოეთ რუსეთი უძველეს დროიდან აწვდიდა ნორვეგიას თევზს და სხვა სანოვაგეს. ნორვეგიის გარეშე საქმეთა მინისტრმა აცნობა საბჭოთა მთავრობას, რომ ნორვეგია თანახმაა დაიწყოს მასთან სავაჭრო კავშირზე მოლაპარაკება. ნორვეგია დანიშნავს ჩრდილოეთ რუსეთში თავის დელეგატებს. პრესის აზრით ასეთი დამოკიდებულების დაჭერა რუსეთთან სრულებითაც არ ნიშნავს საბჭოთა რუსეთის ცნობას. ნორვეგიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ამის შესახებ სტორტინგის სხდომაზე განაცხადა, რომ ნორვეგია მანამ არ იცნობს საბჭოთა მთავრობას, სანამ მას დიდი სახელმწიფოები არ იცნობენო.

## გერმანული პრესა.

### განიარაღების საქმე.

განიარაღებისათვის დანიშნულმა სახელმწიფო კომისარმა პრესის წარმომადგენლებს თავისი პროგრამა წარუდგინა. კომისარმა აღნიშნა, რომ მშვიდობიანობის და წესიერების ინტერესებისათვის ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომები განიარაღების მოსახდენად, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მშვიდობიანი გზით. ვინაიდან საჭიროა სათანადო მომზადება, ამიტომ განიარაღებისათვის საჭირო ზომების მიღება შეიძლება არა უადრეს სექტემბრის 15-სა იარაღის თავისუფლად ჩაბარების დასაჩქარებლათ ამ ვინტოვკებზე, რომლებსაც ოქტომბრის 12-მდე წარმოადგენენ საგანგებო ჯილდო იქნება დანიშნული. პირველ ნოემბრამდის მიტანილ იარაღში პატრონებს ფული მიეცემათ. ამ დღიდგან დაწესებული კი ყოველგვარი აღმოჩენილი იარაღი ჩაითვლება სახელმწიფო საკუთრებათ, საჩუქარი მიეცემა მათაც, ვინც მთავრობას იარაღის საწყობებზე მიუთითებს. კომისარმა განაცხადა იარაღის ჩამომრთმევის დროს ყურადღება არ მიექცევა პიროვნებასა და პარტიულ მიმართულებასო.

## იტალიური პრესა.

### უკრაინის გენერალურ შტაბის დაპატიმრება ბოლშევიკების მიერ.

„კორიერე დე ლა სერა“ იუწყება: ბოლშევიკთა რაზმი თავს დაესხა მატარებელს, რომელშიც ისხდნენ უკრაინის გენერალური შტაბი და უკრაინის მინისტრები. ეს მატარებელი პროსკუროვიდან მოდიოდა. ბოლშევიკებმა დააკავეს უკრაინელები და მათდამი უმაგალითო სისასტიკე ჩაიდინეს. პოლონელებმა ამ ადგილას 46 უკრაინელის დასახიჩრებული გვამი იპოვეს.

## ლონდონის ცნობები.

### ვრანგელის ჯარის ოპერაციები ყუბანში.

გენერალ ვრანგელის ჯარი აზოვის ზღვის ნაპირებიდან ყუბანის შუაგულისკენ მოიწევს იოლნ.(?) რაიონში მძვერი... (დამახინჯებულია).., თავდასხმა ვილდეჩიმზე (?) მაგრამ მოგერიებულ იქმნა. ნოვომოსკოვსკისა და ეკატერინოსლავის შუა ვრანგელის ჯარმა ტყვედ შეიპყრა მთელი პოლკი. ალექსანდროვსკის ჩრდილოეთ დასავლეთით თავი იჩინა ბოლშევიკების საწინააღმდეგო აჯანყებამ.

### საფრანგეთის სინდიკალისტები ბოლშევიკების წინააღმდეგ.

საფრანგეთის პრესა სიამოვნებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ საფრანგეთის სინდიკალისტების გამოჩენილმა წევრებმა საკმაო გარკვევით გაილაშქრეს ბოლშევიკურ დიქტატურის წინააღმდეგ... (დამახინჯებულია).. რუსეთის კომუნიზმს სოციალიზმთან ან სინდიკალიზმთან საერთო არაფერი აქვს. მას შეუძლია იარსებოს და ან არსებობა განაგრძოს მხოლოდ ერთი პირის და მცირე რიცხვ ვან ჯგუფების დიქტატურის წყალობით. მათ ბატონობას ტერორი და დაქირავებული ჯარი უმაგრებს ზურგს. ამიტომაც ჩვენ წინააღმდეგ უნდა წავიდეთ ასეთ დიქტატურის წინააღმდეგ. ეს დიქტატურა ქმნის მილიტარისტულ და რეაქციონურ კასტას. პარტიული. (დამახინჯებულია) ანალოგიურ დასკვნამდი მიდის. შრომის საერთო ფედერაციის მდივანი წინააღმდეგია მესამე ინტერნაციონალისა და შრომის ფედერაციის კომიტეტში განცხადება შეაქვს, რომ ზინოვიევის ხელ მოწერით გამოშვებულ მოწოდებაში, რომლითაც ის მიმართავს პროლეტარიატს სინდიკალისტურ ორგანიზაციების მიმართ ომია გამოცხადებულიო, ამას ადასტურებს მესამე ინტერნაციონალის კონგრესზე გაკეთებული განცხადება.

## მოსკოვის ცნობები.

### საბჭოთა რუსეთის სამხედრო საგანგებო თათბირის შემადგენლობა.

**მოსკოვი. მარიამობისთვის 15.** „იზვესტია“ იუწყება, რომ საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულ ძალების მთავარ სარდალთან არსებულ საგანგებო თათბირში გარდა ბრუსილოვისა, რომელიც თავმჯდომარედ ითვლება, შედიან: გენ. პოლივანოვი, გენ. კლემბოვსკი, ა. გუტორი, რომელიც წინეთ სამხრეთ დასავლეთის ფრონტს სარდლობდა, გენ. ზაიონჩოვსკი, გენ. პარსკი, გენ. ბალუევი და გენ. აკიმოვი.

**მოსკოვი, მარიამობისთვ ს 25 სამხედრო რადიო ცნობა.** ლომჟის და ბელოსტოკის რაიონებში ჩვენი უკან მავალი ჯარის ნაწილები განაგრძობენ ბრძოლას. ბრესტ ლიტოვსკის რაიონში ჩვენ რამოდენიმე სოფელი ავიღეთ. პოლმის რაიონში ადგილობრივი ხასიათის ბრძოლები გრძელდება. ლვოვის რაიონში თანახმად დამატებით ცნობებისა, ჩვენმა ნაწილებმა გაარღვიეს ფრონტი და ქალ. სტრიმდე მიაღწიეს.

ხერსონის რაიონში ჩვენი ჯარები მოპირდაპირეს სამხრეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით ავიწროებენ, ორეხოვის რაიონში მკაცრი ბრძოლები გრძელდება.

**ბრძოლა შიმშილის წინააღმდეგ.** სმოლენსკის გუბერნიაში, მხტისლავის მაზრის ერთ ერთ სოფლის გლეხებმა მათზე გაწერილი პური შეაგროვეს. ამისათვის მათ ნორმაზე მეტი მარილი მისცეს.

**საზავო მოლაპარაკება პოლონეთთან აგვისტოს 23** პოლონეთ-რუსეთ-უკრაინის დელეგატების მესამე სხდომა შესდგა. ამ სხდომაზე პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარემ დომბსკიმ საზავო ხელშეკრულების მთავარ საფუძვლებზე ილაპარაკა. მან საბჭოთა რუსეთის საზავო პირობები მიუღებლად აღიარა. რუსეთ უკრაინის დელეგაციის თავმჯდომარე დანიშევსკიმ დომბსკის პასუხი გასცა, მოლაპარაკება გრძელდება.

### სამხედრო მასალის დაკავება

შტეტინის სადგურზე რკინის გზელებმა 23 ვაგონი სამხედრო მასალა დააკავეს. როგორც სჩანს, ამ სამხედრო მასალას პოლონეთში გზავნიდენ. სილეზიის მთელ რიგ ქალაქებში დააკავეს ვაგონები სამხედრო მასალითა და ჯარისკაცებით

ბერლინში უმუშევრობის გამო დიდი დემონსტრაცია მოხდა.

ინგლისის მუშების კომიტეტმა გადასწყვიტა სამხედრო მასალების დამამზადებელ ქარხნებში მუშაობის შეწყვეტა იმ შემთხვევაში, თუ ინგლისმა საბჭოთა რუსეთს ომი გამოუცხადა.

გერმანიის მთავრობისა და მუშების წარმომადგენლებმა დაადგინეს გერმანიის საზღვრებით გაგზავნილ სამხედრო ტრანსპორტის დაკავება.

საფრანგეთი ვრანგელის ბანდებისა და პოლონეთის თეთრ გვარდიელებთათვის დიდ ძალ სამხედრო მასალას ამზადებს. საფრანგეთს იმედი აქვს, საბჭოთა რუსეთთან ომი მთელ ზამთარშიაც გაგრძელდება.

მოკავშირეები რუმინეთს დახმარებას პირდებიან, თუ იგი პოლონეთს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ დაეხმარება.

საფრანგეთში, იქ მხოლოდ რუსებს და პოლონელების მობილიზაცია ხდება. რუსებს ვრანგელთან აგზავნიან, პოლონელებს კი პოლონეთში.

შეერთებულმა შტატებმა ისარგებლა პოლონეთის საბჭოთა რუსეთთან ომით და პოლონეთს და 3 რესპუბლ 250,000,000 დოლარის სესხის მიცემაზე უარი უთხრა.

იურიევში 18 პირი დააპატიმრეს, მათ კომუნისტობას აბრალებენ.

სამხედრო მასალა, რომელიც მოკავშირეებმა გაგზავნეს პოლონეთს ჩეხოსლოვაკიით ამ უკანასკნელის მთავრობამ დააკავა.

## სტამბოლის ცნობები.

### ბრწყინვალე პორტის შუ მდგომარეობა მოკავშირეების წინაშე.

თანახმად სტამბოლიდან მოსულ დეპეშისა, ბრწყინვალე პორტა ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებს სთხოვს სტამბოლში თავის წარმომადგენლების დანიშვნას.

### პოლონეთის გამარჯვება.

თანახმად მოსულ ცნობებისა პოლონელებმა ხელთ იგდეს 35,000 ტყვე და 200 ზარბაზანი.

### ქემალის ფრონტზე.

**სტამბოლი. მარიამ. 25**, თანახმად მოსულ ცნობებისა მუსტაფა ქემალს დასავლეთის ფრონტის მთავარ ადმინისტრატიულ და სამხედრო უფროსად გენერალი ალი-ფუადი დაუნიშნავს.

### ოსმალეთის მომავალი ზავის შემდეგ.

„ილერი“ წერილში „ომიდან ზავისაკენ“ აღნიშნავს, რომ ომიანობის უკანასკნელ წლებში ოსმალეთმა სიკვდილი, შიმშილი და სხ. უბედურებანი განიცადაო. ახლა ოსმალეთმა არასამართლიან ზავითაც უნდა ისარგებლოს და მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაპყრას წარმოებას, რომლის საშუალებითაც არსებულ სახელმწიფოთა შორის მას სათანადო ადგილის დაკავება შეუძლია.

## ბათუმის ცნობები

### პოლონელების იერიში.

**რადიო ცნობა. აგვისტოს 24, ბათომიდან მიღებული.**

**ლონდონი.** მოსკოვის რადიო აგვისტოს 23 იუწყება: ტორნ-ბელოსტოკის რაიონში თავდასხმაზე გადმოსულ პოლონელების საწინააღმდეგო ბრძოლები გრძელდება ვარშავიდან მიღებული ცნობები ადასტურებს ბელოსტოკის აღებას, რომელიც ვარშავა პეტროგრადის რკინის გზის ხაზს 100 მილით არის დაშორებული. ტორნი პრუსიის საზღვრებიდან 20 მილის მოშორებით მდებარეობს.

### წითელი არმიელების სტრატეგიის ჩაფუშვა.

ყველაზე უფრო გაცხარებული ბრძოლები ვარშავა დანციგის ხაზზე სწარმოებს. წითელ არმიელთა განზრახვა, რომ გაერღვიათ პოლონეთის ხაზი და ნაროვზე გამოსულიყვნენ სრული და საბოლოო დამარცხებით დასრულდა. მდინარე ნაროვის შუა მიმდინარეობასთან ბრძოლები გადასწყვეტს იმ წითელ არმიელთა ბედს, რომლებიც გარშემორტყმული არიან პოლონელებისაგან ნაროვისა და პრუსიის აღმოსავლეთ საზღვრების შუა.

### ბოლშევიკების საზავო პირობები.

რუსეთი თხოულობს პოლონელებისაგან, რომ პოლონეთის სამოქალაქო მილიცია პროლეტარულ ძალებისაგან შესდგებოდეს. რუსეთს საზავო პირობის მეორე მუხლში მოთხენილია პოლონეთის ჯარის დემობილიზაცია და 200,000 რუსი ჯარისკაცი.. (გამოტოვებულია) უნდა დარჩეს ნეიტრალურ ზონაში. რუსები ამას გადაჭრით მოითხოვენ, რაც იმას ნიშნავს, რომ პოლონეთმა თავისი ჯარი 50,000 კაცამდის დაიყვანოს და ბოლშევიკებს კი უნდათ, რომ ამ საზღვარზე ოთხჯერ მეტი ძალა ყავდეთ. არც პოლონელები და არც მოკავშირეები ამაზე არ სთანხმდებიან.

### პოლონელები მინსკისკენ წინ მიიწევიან.

სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობებით პოლონელი არავითარ პირობებს ანგარიშს არ უწევენ და მინსკისაკენ მიიწევენ. ისინი კატეგორიულად უარყოფენ მიუღებელ პირობებს.

### კონფერენცია ირლანდიაში.

დღეს დუბლინში ირლანდიელთა კონფერენცია გაიხსნება. კონფერენციის მოწყობთ იმედი აქვთ, რომ ირლანდიის ყველა წრის წარმომადგენლები შეთანხმდებიან ლოიდ ჯორჯისთვის წარსადგენ პრობლემის საკითხში.

### ლოიდ ჯორჯის მეუღლის დაჯილდოება.

მეფემ ლოიდ ჯორჯის მეუღლე ომის დროს საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და ჰოსპიტლებში მოღვაწეობისათვის ბრიტანეთის იმპერიის დიდი ჯვრის ორდენით დააჯილდოვა.

## ერ. დემ. პარ. მთავარ ბიუროს ცნობები

### რ. ჭიათ.

ივლისის 29 ქ. ონში მოხდა ერ. დემ. პარტიის წევრთა წლიური კრება, კრებას დაესწრო 120 კაცი. კრებამ იმსჯელა პარტიულ მუშაობის შესახებ. აღნიშნა წარსული მუშაობის დეფექტები დაადგინა, დღეიდან გააცხოველონ პარტიული მუშაობა.

აირჩიეს ახალი სამაზრო კომიტეტი ვექილ. კონს. წულუკიძის თავმჯდომარეობით.

### ს. ჭიორა.

ივლისის 30 ს. ს. ... მოხდა ერ. დემ. პარტიის თანამოაზრეთა პირველი კრება, ... მოხსენება გააკეთა მოქ-ქე ბ. გორდეზიანმა მომენტის შესახებ. არჩეულ იქმნა პარტიული კომიტეტი.

### ს. საკაო.

აგვისტოს 3-ს. ს. საკაოში შესდგა ერ. დემ. პარტიის თანამოაზრეთა პირველი კრება, მომხსენებელი იყო მ.-ქ. ბ. გორდეზიანი. კრებაზედ აირჩიეს პარტიული კომიტეტის დ. გორდეზიანი თავმჯდომარეობით.

### ს. ლარი.

აგვისტოს 8-ს ს. ლარში შესდგა ერ. დემ. პარტიის თანამოაზრეთა კრება, რომელსაც დაესწრო დახლოებით 80 კაცამდე. მოხსენება გააკეთა მ-ქე. ბ. გორდეზიანმა პროგრამულ საკითხებზედ.

აირჩიეს პარტიული კომიტეტი მ. ჯაფარიძის თავმჯდომარეობით.

## განცხადება ტფილისის ქალაქის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის.

საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, სხვა და სხვა სპატიო მიზეზის გამო, რომელიც არ გამოცხადებულა ტფილისის აღრიცხვის ნაწილში დროებითი სარეგისტრაციო ბარათების სამხედრო ბეგრა მოხდასთან დამოკიდებულ მუდმივ ბარათებით შესაცვლელად, მოვალე არის გამოცხადდეს ხსენებულ აღრიცხვის ნაწილს—სადგურის ქ. № 24—და თან იქონიონ წლოვანობის დამამტკიცებელი საბუთები. გამოცხადება მოხდება შემდეგი რიგით: 25 ამა აგვისტოს გამოცხადდებიან 1 და 2 უბნებში მცხოვრებნი, 26—3 და 4 უბნ. 27—5 და 6 უბნ., 30—7 და 8 უბნ. 31—9 და 10 უბნ. ამა წლის სექტემბრის 1—11, 12, და 13 უბნ. მცხოვრებნი.

# ახალი ამბები

## სამინისტროებში

**ახალციხე მარიამ. 24.** იუსტიციის სამინისტროს აუწყებენ, რომ ახალციხის მაზრაში ადმინისტრაციამ დააპატიმრა 4 სომეხი, რომლებიც მალულად იარაღს ყიდულობდნენ და მიეზიდებოდნენ.

**მიწების იძულებითი ჩამორთმევა.** გორის აღდგენისათვის საჭირო კერძო პირთათვის მიწების ჩამორთმევის დეკრეტს იუსტიციის სამინისტრომ დაურთო ინსტრუქცია. ინსტრუქციის თანახმად ქალაქის თვითმართველობა დეკრეტის დაუყონებლივ სისრულეში მოსაყვანად იწვევს 3 პირისაგან შემდგარ შერეულ კომისიას. ინსტრუქციაში გარკვეულია ნაჩვენები ის წესები, რომელიც მიწების იძულებით ჩამორთმევისა და სამაგიეროს მიცემის დროს უნდა იქნეს დაცული. კომისიის დადგენილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას, გარდა იმ დადგენილებისა, რომელშიც ქალაქის დანგრეულ ნაწილის მიწის მეპატრონეთ ეხება. ქალაქის თვითმართველობას უფლება აქვს დაიტოვოს მიწა ქალაქის საკუთრებათ მოედნებისა სკოლებისა და სხვა საჭიროებისათვის. ამგვარივე უფლება ენიჭება ერობასაც, რომელიც უნდა შეუთანხმდეს ამ საკითხში ქალაქის თვითმართველობას. ბოლოს ასეთივე უფლება ენიჭება კულტურულ-განმანათლებელ ორგანიზაციებსაც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, სადაო საკითხების გადაწყვეტა ენდობა იუსტიციის მინისტრს.

**მომრიგებელი კამერის წესდება.** შრომის სამინისტრომ გადუგზავნა ცენტრალ სამომრიგებლო კამერას სამინისტროს მიერ დამტკიცებული კამერის წესდება. ამასთანავე ეუწყა, რომ წესდებაში შეტანილია 2 შესწორება მესამე და მეთერთმეტე მუხლებში. სამინისტრომ კამერას წინადადება მისცა, რომ სასწრაფოდ შეიმუშაოს წესდებების მეორე ნაწილიც.

**სამსახურში მიღების წესი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცირკულიარული წინადადებით მიმართა ადმინისტრატიულ ორგანოებს, რომ სამსახურში მიღების დროს გამოარკვიონ, მთხოვნელი იყო თუ არა სამართალში მიცემული და ან წინანდელ სამსახურში შემჩნეული იყო იგი თუ არა რაიმე დანაშაულობაში.

— **პურის თავისუფალი შემოტანა.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისის სამაზრო ერობის თხოვნის თანახმად მიმართა დუშეთის, თბილისის და გორის მაზრის ადმინისტრატიულ ორგანოებს, რომ მათ ხელი არ შეუშალონ აღნიშნულ მაზრებში პურის თავისუფლად შემოტანასა და გატანას, ვინაიდან ეს მთავრობის მიერ ნება დართულია.

— **სალიკვიდაციო მაზღვრელი.**

შრომის სამინისტროს განმარტებით ნაციონალიზაციის გამო დათხოვნილ მასწავლებელთ საქართველოს დამოუკიდებლობამდი ნამსახურ წლებისა სალიკვიდაციო ფული მიეცემათ საბჭოთა რუსეთის ხაზინიდან, რისთვისაც მათ უნდა მიიცეს სათანადო მოწმობანი. დამოუკიდებლობის შემდეგ ნამსახურ წლების სალიკვიდაციო მასწავლებელთ ცენტრალური მომრიგებელ კამერის მიერ დაწესებულ ნორმის მიხედვით უნდა მიეცეთ.

— **რკინის გზის მოძრაობის მოწესრიგება.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მილიციის წინადადებით, მიიღო ზომები, რომ მცხოვრებლებმა დაიცვან რკინის გზის ლიანდაგზე საქონლის გადარეკვის აკრძალვის წესები. რკინის გზის მილიციის ეძლევა გაძლიერებულად ადევნოს თვალყური ამ წესების დაცვას.

— **საქციზო სამართველოში.** საქციზო სამართველოს გამგედ დაამტკიცეს ს. ბაქრაძე.

— **განმარტება.** ბორჩალოს სამაზრო ერობის შეკითხვაზე შრომის სამინისტრომ განმარტა: დეკრეტი მომატების შესახებ, თანახმად ამა დეკრეტის მე-8 მუხლისა ვრცელდება მობილიზაციით ჯარში გაწვეულ მოსამსახურეებზედაც.

— **შრომის სამინისტროში.** შრომის სამინისტრომ განმარტა, რომ სატარიფო პალატის დადგენილება ჯამაგირების პროცენტულ გადიდების შესახებ ვრცელდება დროებით მომუშავე მუშებზე და მოსამსახურეებზედაც.

— **ბორჯომის წყალი მატარებლებში.** მიწად მოქმედების კონტრ-აგენტმა შუამდგომლობა აღძრა მატარებლებში ისეთ აპარატების მოწყობის ნებართვის მიცემის შესახებ, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება მგზავრთათვის ბორჯომის წყლის მიწოდება. განზრახულია ასეთი აპარატების დადგმა ყველა ქალაქში, დიდ დაწესებულებებში და მუშათა უბნებში. ამის გამო კონტრ-აგენტი შუამდგომლობს სპილენძის-და თმობის შესახებ, რომ ამით მას საგანგებო აპარატების მოწყობის შეძლება მიეცეს.

## ყაჩაღის შეპყრობა.

ბათომის რკინის გზის რაიონის მილიციის უფროსი მეგრელაძე დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიას, რომ 24 მარიამობისთვეს მათ მიერ შეპყრობილ იქმნა ცნობილი ყაჩაღი მელიტონ ჯიბუტი, რომელსაც აუარებელი ბოროტმოქმედებანი ჰბრალდება. მასვე ჰბრალდება ორ მარიამობისთვეს ადგილობრივ მგზავრებზე თავდასხმა.

## ყაჩაღების დახვრეტა.

სენაკის მაზრის მილიციის უფროსი ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიას, რომ დ. აბაშის (სენაკის მაზრა) უბნის მილიციის უფროს წამოუყვანია აბაშიდან დატუსაღებული ყაჩაღები:

ნიკო და კაკო ქადორიები და ევგენი [illegible]; როდესაც ისინი მიახლოვებიან ძიგურს, უეცრად ტყიდან ვიღაც ბოროტ-მოქმედთ აუტეხნიათ საშინელი სროლა სამ ხაზიანი ვინტოვკებიდან.

— რათქმა უნდა იმ მოსაზრებით, რომ მილიციელნი ან დაეხოცნათ, ან დაეფთხოთ და ამით ხელი შეეწყოთ ყაჩაღების გაქცევისათვის; მაგრამ ხსენებული უბნის მილიციის უფროსის გამჭრიახ მოქმედებით ამ მოსაზრების სისრულეში მოყვანა არ დასცალდათ. როგორც კი ტუსაღებმა სცადეს გაქცევა, უმალვე მოკლულ იქმნენ.

მიუხედავათ მიღებულ სასტიკ ზომებისა ტყიდან სროლის ამტეხნი, ბოროტ-გამზრახველნი მიიმალნენ, მათ შესაპყრობად ყოველივე ზომები მიღებულია.

## ყაჩაღები იარაღს ჰყრიან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიას ზუგდიდის მაზრის კომისარი დეპეშით შემდეგს ატყობინებს: „სასტიკ ზომების მიღების შემდეგ ჩვენ იმ შედეგს მივაღწიეთ, რომ ყაჩაღები გამოდიან ტყიდან თავიანთ ნებით. ამ დღეებში გამოცხადდნენ ცნობილი ყაჩაღები: სოგრატ და ვარლამ თორდიები, გრიშა ფაცაცია, გუდუ ბაძალუა და ხუხუ მირცხულავა. უკანასკნელს მისჯილი ჰქონდა ექვსი წლის კატორღა. ხვალისთვის მოველი კიდევ ორს კატორღა მისჯილს. მაზრაში სრული მშვიდობიანობა და წესიერება მყარდება.

### მადლობის დეპეშა განათლების მინისტრს.

სამურზაყანოელ მასწავლებელთათვის ქუთაისში მოწყობილ კურსებზე მეცადინეობა დასრულდა. გამოსათხოვარ საუბარში მასწავლებლებმა ერთხმად დამავალეს მოგიძღვნათ ულრმესი მადლობა ყურადღებისათვის და კურსების მოწყობისათვის, რაც მათ საშუალებას მისცემს მიღებულ ცოდნა ხალხის საკეთილდღეოთ გამოიყენონ და უხეში ძალით გათიშულ საქართველოს მკვიდრი მოძმე ერის აფხაზების დანათესავებას და შემოერთებას ხელი შეუწყონ კურსების ხელმძღვანელი.

ლაზარე ხმალაძე.

## მთავრობაში

— **მისალმის დეპეშა.** მთავრობის თავმჯდომარის სახელზე ახალქალაქიდან შემდეგი დეპეშა არის მოსული: „ჯავახეთის ერობის ხმოსანთა პირველი კრება მიესალმება დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას და იმედს გამოსთქვამს, რომ ჯავახეთის დემოკრატია მთელ საქართველოს დემოკრატიასთან ერთად ხელ ჩაკიდებული ივლის, რათა შეერთებული ძალღონით განამტკიცოს დემოკრატიული იდეები. საერობო ყრილობა დარწმუნებულია, რომ არჩეული და ხალხის ნდობით აღჭურვილი მთავრობა დაეხმარება საქართველოს ძველ პროვინციას და მთელი სახელმწიფოს საკეთილდღეოდ აღადგენს ჯავახეთს.

— **ამიერ კავკასიის უნივერსიტეტი.** სახალხო განათლების მინისტრის მოხსენების შემდეგ მთავრობამ ამიერ კავკასიის კერძო უნივერსიტეტის შესახებ დაადგინა: 1920—21 სასწავლო წლიდან დახუროს კერძო უნივერსიტეტი. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს წინადადება მიეცა დაარსოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან ამიერ კავკასიის უნივერსიტეტის რუს სტუდენტებისათვის პარალელური კურსები.

— **დახმარება ფერშლის ოჯახს.** მთავრობამ დაადგინა მისცეს ეპიდემიასთან ბრძოლის დროს დაღუპულ ფერშალ ძოწენიძის ოჯახს ერთდროული დახმარება. ამ მიზნისათვის შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში საგანგებო თანხა გადაიდო.

— **საქონლებზე ბაჟის გადახდა.** თანახმად მთავრობის დადგენილებისა, იმ საქონლის პატრონებმა, რომლებსაც მომარაგების სამინისტროს ნებართვით საქონელი საზღვარ გარედ გააქვთ, გასაზღვრული ბაჟი უნდა გადაიხადონ. ბაჟის გადახდის წესის შემუშავება ფინანსთა და მომარაგების მინისტრებს მიენდოთ.

— **უდიდესი ფასები ბინებზე.** იუსტიციის მინისტრის მიერ წარმოდგენილი პროექტი ბინებზე უდიდეს ფასების შესახებ, მთავრობამ მოიწონა. პროექტი დამფუძნებელ კრებას წარედგინება. ამასთანავე პროექტის მეშვიდე მუხლში შეტანილია შესწორება, სახელდობრ: ამოღება სიტყვები „აგრეთვე ბინების წყალით მომარაგება“ (ქ, ს.)

## ქალ. თვითმართველობაში.

— **ქ. ლ. სამტრედიის შუამდგომლობა.** სამტრედიის ქალაქის თვითმართველობის დადგენილება ქალაქს საკუთრებისთვის ბ. ჯანელიძის უძრავ ქონების ჩამორთმევის შესახებ მთავრობამ დაამტკიცა.

— **პოლიტექნიკური ინსტიტუტი.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა აღმოუჩინოს თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს 50.000 მან. დახმარება.

## თავდაცვის საბჭოში.

**ფრონტის შესახებ.** თანახმად საქართველოს ჯარების მთავარ-სარდლის მოხსენებისა ფრონტების მდგომარეობის შესახებ, რესპუბლიკის თავდაცვის საბჭომ დაადგინა:

1) სოფელ შიხილის მცხოვრებთ უსათუოდ აეკრძალოთ ჩვენს ტერიტორიაზე გადმოსახლება, ხოლო ქოჩა თათრებს ნება მიეცეთ ისარგებლონ ჩვენ საძოვარი ადგილებით, მიწათ-მოქმედების სამინისტროსაგან სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ.

2) მომავალში, როდესაც თავდაცვის საბჭოში განსახილველი იქნება საერთოდ გადასახლების საკითხი, მოწვეულ იქმნეს მიწათმოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი სათათბირო ხმით.

## ერობაში.

— **ერობათა მოღვაწეობა.** ერობათა კავშირის კომიტეტი თავის მოხსენებაში საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ ერობის დაწესებულებათა მოღვაწეობის შესახებ აღნიშნავს, რომ გარდა ცალკე საერობო ერთეულების მოღვაწეობისა ადგილი ჰქონდა ერობათა კავშირის კომიტეტის მოღვაწეობასაც. ერობათა კავშირის კომიტეტმა იმ მიზნით, რომ მოეწესრიგებინა საერობო მოღვაწეობა და დახმარებოდა ერობებს მოაწყო საინსტრუქტორო განყოფილება—საექიმო სასანიტარო, სტატისტიკური, აგრონომიული, საბეითლო და საბუხჰალტერიო. ინსტრუქტორები იგზავნებოდნენ სამაზრო და სათემო ერობებში საერობო ორგანიზაციების მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად. ამ მიზნით მოეწყო გამოცდილ საერობო მოღვაწეებისაგან სპეციალური კომისია, რომელიც გაეცნო ყველა საერობო დაწესებულების მუშაობას და მათ საჭირო რჩევა-განმარტებანი მისცა. ამ კომისიის მუშაობა მალე დაიბეჭდება და ცალკე წიგნათ გამოვა. ამასთან ერობათა კავშირი სცემს ჟურნალს „ერობას“ მან თავს იდვა აგრეთვე საბავშვო, სახალხო და სპეციალურ საკითხების შესახებ წიგნების გამოცემა.

— **მისალმება ჯავახეთისადმი.** ერობათა კავშირის კომიტეტმა ჯავახეთის საერობო ყრილობას გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა, სადაც აღნიშნა, რომ ერობათა კავშირის მთავარი მიზანია დაეხმაროს ყველა ადგილობრივ ერობებს. ჯავახეთის ერობა განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია. ერობათა კავშირის კომიტეტი იმედს გამოსთქვამს, რომ ჯავახეთის ახალგაზრდა ერობა, ერობათა კავშირის დახმარებით იმოღვაწებს საქართველოს საკეთილდღეოდ და მისი დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად.

— **ერობათა კავშირში.** ასეთივე შინაარსის დეპეშა მიიღო ჯავახეთიდან ერობათა კავშირმა. საერობო ყრილობა დეპეშაში იმედს გამოსთქვამს, რომ ერობათა კავშირი ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს ახალქალაქის ნორჩ ერობას.

## სასამართლოში

— **თბილისის საოლქო სასამართლოს სესია.** სურამს გაემგზავრა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის განყოფილების სესია მ. ორჯონიკიძის თავმჯდომარეობით.

## მუშათა ცხოვრება.

— **იაფი პური.** მუშათა მაგიდამ კახეთის რკინის გზის სასურსათო კომიტეტს აცნობა, რომ მუშების და მოსამსახურეების ჯამაგირების მომატების შემდეგ მათ პური იმავე ფასებში უნდა მიეცეს, როგორშიც ეძლევათ იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც პურს მუშათა მაგიდის სიით იღებენ.

— **მუშებისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდება.** მუშათა მაგიდამ საქართველოს პროფესიულ კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტს აცნობა, რომ სოხუმის მუშებისათვის საჭირო სურსათ სანოვაგის შესასყიდად 3 მილ. მან. გადაეგზავნა.

## რკინის გზაზე

— **სამგზავრო მატარებლების შეჩერება.** რკ. გზების ექსპლოატაციის უფროსმა მთელი რკინის გზის ხაზზე გასცა განკარგულება იმ პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომლებიც მატარებლებს გაჩერებას იწვევენ. განკარგულებაში აღნიშნულია, რომ ხშირია შემთხვევები, როცა მგზავრები სრულიად უმიზეზოდ აჩერებენ მატარებლებს და ამით მატარებელთა ნორმალურ მოძრაობას არღვევენო. ასეთი პირები ამდენხანს დაუსჯელად რჩებოდნენ მომავალში დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი. მათ გადახდებათ ან 30.000 მან. ჯარიმა, ან და 3 თვით ციხეში ჩაჯდომა.

## ქალაქთა კავშირში.

**აფხაზეთა ყრილობის შუამდგომლობა.** აფხაზეთის ქალაქების და ერობების წარმომადგენელთა ყრილობამ ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტს მიმართა განცხადებით, რომელშიაც იგი შუამდგომლობს სატარიფო პალატის გამგეობიდან გამოჰყონ საკითხი დემოკრატიულ თვითმართველობების მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირების შესახებ.

## სურსათი

**ხორბლის და მარილის მიღება.** 26 მარიამობისთვეს ფოთიდან თბილისში სასურსათო სამინისტროს სახელზე მიიღეს 20 ვაგონი ხორბალი და 7 ვაგონი მარილი.

**ფასის გადიდება უბრალო ვაგონზე.** ვინაიდან სადგურ ფოთში დაგროვილა აუარებელი საქონელი და მათ გადაცლაზე ნაკლები ყურადღებაა მიქცეული ექსპლოატაციის უფროსმა ბრძანება გასცა, რომ 27 მარიამობისთვიდან უბრალო ვაგონზე გადაჰხდებათ 300 მან. მაგიერ 1000 მან. დღეში.

## გვარდიაში

**კონტროლიორ ასისტენტის დანიშვნა.** სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის განკარგულებით კონტროლიორ ასისტენტათ ბედენში (ბორჩალოს მაზრა) დაინიშნა ანტონ კერიშვილი, სადაც გვარდიას ამ ჟამად უყენია მთელი მეწველი და არამეწველი საქონელი. იქ დამუშავებულ ნაწარმოებს გვარდია ჩამოიტანს თბილისში საგანგებო საწყობში; ამასთანავე საქონელსაც სულ მოკლე ხანში ჩამოიყვანს საგანგებოდ დამზადებულ ფერმაში მოსათავსებლად.

## ფიზიკურ ობსერვატორიაში

**სეისმოგრაფის მოწვევა.** თბ. ფიზიკურ ობსერვატორიის სეისმოგრაფად მოწვეულია ბაქოდან ცნობილი სეისმოგრაფი, დირექტორი ნობელის ობსერვატორიისა ბ-ნი ბიუსი, ტომით გერმანელი.

**ახალი ტარიფი.** 21 მარიამობისთვიდან დაწესდა შემდეგი ტარიფი საქართველოს რკინის გზებზე:

### თბილისიდან.

| სადგური. | ბილეთის ფასი მან. 1 კ. | 2 კ. | 3 კ. | ბარგი ფუთზე |
|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 75 | 45 | 30 | 10 |
| გორი | 270 | 165 | 110 | 25 |
| ხაშური | 420 | 255 | 170 | 40 |
| ბორჯომ-პარკი | 535 | 320 | 215 | 50 |
| ბაკურიანი | 660 | 395 | 265 | 65 |
| შორაპანი | 620 | 375 | 250 | 60 |
| ქუთაისი | 720 | 435 | 290 | 75 |
| სამტრედია | 775 | 465 | 310 | 80 |
| ფოთი | 925 | 555 | 370 | 105 |
| ბათომი | 1075 | 645 | 430 | 115 |
| სიღნაღი | 285 | 170 | 115 | 25 |
| სანაინი | 440 | 265 | 180 | 45 |
| ავჭალა | 40 | 25 | 15 | 5 |

**შენიშვნა:** 1) საბავშვო ბილეთები (5—10 წლამდე) უდრის ერთი მეოთხედს მთელი ბილეთისა, 5 მან. გამორიცხული.
2) 4 კლ. ბილეთები უდრის მე-3-მე კლ. ბილეთის ნახევარს.

## სხვა და სხვა ამბები.

— **ხოლერა.** გუშინდლამდე 21 შემთხვევა ყოფილა ხოლერით ავადმყოფობისა. ამ რიცხვში გარდაცვლილა 14. და 3 მორჩენილა. 25 მარიამ. ირიცხებოდა 4 ავადმყოფი საეჭვო.

## პროვინცია.

**ქუთაისი. ერობის მოხსენება.** ქუთაისის სამაზრო ერობამ თავის მოქმედების შესახებ მოხსენება შეადგინა. თანახმად ცნობებისა, ქუთაისის ერობას ყველაზედ უკეთესად სასკოლო საქმე დაუყენებია. წლის განმავლობაში ერობამ გახსნა 35 პირველ დაწყებითი და 10 უმაღლესი სკოლა. მასწავლებელთა რიცხვი 237-დან 511-მდე გაიზარდა. ამ ჟამად მაზრაში 195 პირველ დაწყებითი და 23 უმაღლესი სკოლა არსებობს., ამათ გარდა გახსნილია 6 გიმნაზია. სკოლებში სულ გიმნაზიების გამოკლებით, 20600 მოწაფე ითვლება. გახსნილია აგრეთვე სასწავლებლო კურსები და მოძრავი კურსები. სამასწავლებლო კურსებიდან მოწყობილია სახელოსნოები, კარგად არის დაყენებული მაზრაში აგრეთვე საექიმო დახმარება. მაზრაში 14 საექიმო პუნქტი და 4 საავადმყოფო ითვლება. წამლობა უფასოა. გარდა ამისა 9 საერობო აფთიაქი არის გახსნილი. ქუთაისში გახსნილია ცენტრალური სააფთიაქო საწყობი, რომელიც აწვდის წამლეულობას პროვინციის საერობო აფთიაქებს.

## დუშეთი.

**საქონლის გატაცება.** აგვისტოს 24-ს თერგის ოლქიდან გამოსულმა მძარცველებმა მდ. არაგვის მიდამოებიდან გარეკეს 2000 სული ცხვარი. ამის შესახებ ეცნობა იუსტიციის მინისტრს.

**მევენახე-მეღვინეთა ყრილობა.** შაბათს 28 მარიამობისთვეს კახელ მევენახეთა კავშირთა კავშირის თაოსნობით ს. მუკუზანში დილის 10 საათზე გაიმართება თათბირი. განსახილველია შემდეგი კითხვები: 1) დღევანდელი მდგომარეობა ჩვენი მეღვინეობა-მევენახეობისა 2) კრიზისიდან თავის დასაღწევად საჭირო ღონის ძიებანი; 3) ჩვენ მეურნეობასთან შეფარდებული მევენახეთა ეკონომიური ორგანიზაციის ტიპი. ყველა ამ კითხვებზე წაკითხულ იქნება მოხსენებანი.

# სომხეთი.

**საქონლის გაყიდვა-შეძენა.**

სომხეთის მთავრობამ გადასწყვიტა საზღვარ გარედ ბამბის, ტყავის, მატყლის და სხ. საქონლის გაყიდვა. ამ საქონლების რეალიზაციის შემდეგ სომხეთის მთავრობა სომხეთისათვის საჭირო საგნებს შეიძენს.

**შეტაკება თათრებთან.**

თანახმად იმავე წყაროებისა, თათრების შეიარაღებული ჯარები დერალგეზში გადასვლას ლამობენ. [illegible] და ბაზარ-ჩაის სოფლების ახლო [illegible] 15 და 16 თათრებსა და სომხებს შორის შეტაკებები მოხდა.

**მინისტრის დეპეშა ბ. ლეგრანს.**

აგვ. 25. სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა საბჭოთა რუსეთის სრულ უფლებიან წარმომადგენელს ლეგრანს გაუგზავნა ასეთი შინაარსის დეპეშა: ჩემ მიერ გამოგზავნილ № 4924 დეპეშის დამატებად გაუწყებთ: მიუხედავად თქვენი შეპირებისა, რომ საბჭოთა ჯარები აგვისტოს 10 შეთანხმებას მტკიცედ და სწორედ დაიცავდნენ, მთავრობამ მიიღო ცნობები, რომ დღეს, დილის სამ საათზე თათრებმა 100 ქვეითა და 80 ცხენოსანთა და ორი ტყვიისმფრქვეველით დარალგეზის მაღლობების აღმოსავლეთით მყოფ სომხეთის ჯარის მარცხენა ფრთას შემოუტიეს და დარალაგეზის კარები დაიკავეს. ჩემი მთავრობის სახელით დაჟინებით მოგითხოვთ, რომ დაუყონებლივ გაიყვანოთ ყარაბახის, ზანგეზურის და ნახიჩევანის ჩვენი ჯარების საბანაკო ადგილებიდან თათართა ბანდები. მოგითხოვთ მიიღოთ ყოველგვარი ზომები, რომ არ განმეორდეს ანალოგიური დარღვევა აგვისტოს 10 შეთანხმებისა.

**სომხეთის პროტესტი.**

„არაჩი“ იუწყება, სომხეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა, სომხეთის პარლამენტის წევრების ხორენის და შირინიანის ბოლშევიკების მიერ დახვრეტის შესახებ სომხეთის პროტესტზე, ჩიჩერინისაგან პასუხი მიიღო. ჩიჩერინი აცხადებს, რომ ამ მკვლელობის შესახებ მას არავითარი ცნობები არ აქვს; მაგრამ ეს ფაქტი მართლაც რომ იყოს, ის ბოლშევიკებს არ უნდა მიეწეროსო. ჩიჩერინის აზრით სომხეთის პარლამენტის წევრები. მოჰკლეს ზანგეზურში სომხებსა და თათრებს შორის შეტაკების დროს.

**დაშნაკელების დევნა.**

„არაჩი“ იუწყება: ზანგეზურში და ყარაბახში სომხების და მათ შორის დაშნაკელ-მოღვაწეთა დევნა გრძელდება. უკანასკნელ დღეებში ტერტერში 13 და ზანგეზურში კი 15 დაშნაკელი მოკლეს. სომხეთის სოფლების ანგელაუტი და კარაკლისი მიწასთან გაასწორეს.

## ჯავახეთის სკოლები.

საქართველოს რესპუბლიკის პირველ დაწყებითი სკოლების მთავარი გამგე გ. ჭუმბურიძე დაბრუნდა თბილისს მესხეთ-

---

# ბუტკები.

— ნეტავი რათ გინდა მაგ ყვავილებს რომ ჰკრეფ? მიმართა მწყემსმა ქალაქიდან მთაში ამოსულ ახალგაზრდას ცოტა არ იყოს უკმეხის კილოთი.

ახალგაზრდამ პასუხის ნაცვლად თუთუნი შესთავაზა და მწყესი მორბილდა.

— ე სულთმოფენობამ ხომ გაიარა და?—განაგრძო მთის შვილმა შეწყვეტილი ლაპარაკი,—ჩვენ სულთმოფენობას ვიცით დავკრეფთ ყვავილებს და მიცვალებულის საფლავზე მივაქვს ხოლმე.

— მე კიდევ მინდა ყვავილების ამბავი გავიგო—განუმარტა ახალგაზრდამ და ქალაქიდან რამოდენიმე ერთნაირი ყვავილი ამოიღო.—გეცოდინება, ძმობილო ამის სახელი! პირველად ვხედავ ამნაირებს.

— ვიცი მაშ!.. სული მარტოებს ეძახით აქა. ამ მთაში იცის მარტო. ახალგაზრდა დაინტერესდა ყვავილების სახელით და რომ მწყემსის გული უფრო მოეგო ერთი მთელი შეკრული თუთუნისა მიაწოდა.

— რათ ეძახით მაგ სახელს ამ ყვავილებს?—შეეკითხა ცნობისმოყვარეობით.

— მწყემსს პირი გაუხსნა ქალაქელის გულუხვობამ.

— რათა ვეძახით?..—დაიწყო სვენებ-სვენებით, რაღაც და ძველებს დაუჯერებიათ. ზოგი ბუტკია ყვავილებს ეძახის... ერთად როცა არიან სულ ზურგშექცეული არიან.. საწყალმა პაპაჩემმა, მამამ,.. თურმე იცი, როგორ გაჩნდნენ ეს ყვავილები?... სამნი ყოფილან [illegible] წუთისოფლის შარაზე მავალნი. ნათქვამია, სული სულს იცნობსო და გული გულსაო, შეხვდნენ ერთმანეთს იცნობნი და იცნეს... ერთად გაუდგნენ გზასა, მაგრამ მაინც მარტონი დარჩნენ. გულით თუ ეტანებოდნენ ერთმანეთსა სულით ემიჯნებოდნენ.

— ნეტავი ერთი შემთხვევა მომეცეს, რომ მტლად დავედოთო! ამბობდა თვითეულის გული დანარჩენ ორზე.

— აბა, რა ნება მაქვს, რომ ჩემი დარდი—ვარამით ესენიც დავამძიმოო? ფიქრობდა თვითეულის სული დანარჩენ ორზე და სახეს ლაღურ მიმოხრას არ აკარებდა: არ შემიხვდნენო.

თუ მალვით გადახედავდა თვითეული დანარჩენ ორს, თორემ ერთმანეთს თვალს ვერ უწორებდნენ.

მიხდა ისე რომ, წუთისოფლის შარა, წინ სამ გზად გადაეშალათ.

გზასაყართან ამათ თულ სვეტზე ეწერა: მარჯვენივ წახვალ—ინანებ, მარცხენივ წახვალ—ნანებ, შუა გზით წახვალ—ინანებ და უკან დაბრუნდები—ინანებო.

უკან დაბრუნება არ ღირსო—ჩაიხრა თავის თანამგზავრებს მხარ მარცხნივ ნაპირას მდგომმა და მარცხნივ დაიწყო ყურება.

— ძნელიაო—დაუმატა მხარმარჯვნივ ნაპირას მდგომმა და მარჯვნივ გაიხედა.

— შეუძლებელიაო! სთქვა გადაწყვეტით შუაგულმა და შუაგა გზის სივრცეს ჩააცქერდა.

მხარმარცხნივ მაცქერალმა თავი დაღუნა და თავისდა უნებურად მარცხნივ მიმავალ გზაზე გაჩნდა. მხარმარჯვნივ მაცქერალმა თავი დაღუნა და თავისდა უნებურად მარჯვნივ მიმავალ გზაზე შედგა ფეხი. შუაგზისკენ მაცქერალმა კიდევ თავი დაღუნა და თავისდა უნებურად შუაგზით განაგრძო წუთისოფლის გზა.

ისე დაშორდნენ რომ ერთმანეთისათვის მალვითაც არ გადაუხედნიათ. თვითეულს ეგონა დანარჩენი სულ ჩუმად არისო.

გულში სამივეს რაღამაც დაუწყო ჩიჩქნა, მაგრამ არც ერთს ხმა არ ამოუღია: არ გაიგონოს დანარჩენმა ორმაო, ფიქრობდა თვითეული. რაც ხანი გადიოდა ჩიჩქნა გულში იზრდებოდათ და ბოლოს ძლიერ ტკივილებად ექცათ.

— მიშველეთო!—წამოიძახა ერთმა,

— მიშველეთო!—წამოიძახა მეორემ,

— მიშველეთო! წამოიძახა მესამემ

სამივემ აქეთ იქით მიიხედ-მოიხედეს თავი, ერთმაც, მეორემაც და მესამემაც ვეღარა იწამა რა, რაკი დანარჩენი ორი ვეღარ დაინახა თავის გვერდით.

—ოოო!.. ღმერთო!.. ისედაც მარტო მარტოობაში მთლად მარტო დავრჩი! —წამოიკვნესა თვითეულმა და ცხარე ცრემლები გადმოყარეს.

სინანული აღიძრათ გულში. უკან დაბრუნება განიძრახეს, მაგრამ ერთსაც, მეორესაც და მესამესაც მუხლი მოეჭრათ და ძირს დაეცნენ. ქვიშ მოყოლილი მიწა წითლად შეღებეს.

თურმე ნუ იტყვი, ერთად მივალთ, თვითეულს გულის ძარღვები დანარჩენ ორის გულის ძარღვებს ისე გადაბმოდა და შეეთვისნა, რომ დაშორებისას დასწყვეტოდათ და სისხლს ეწყო დენა.

სული განუტევეს.

სამივეს ჭირისუფლობა ცამ და ქარმა გაუწია. ქარმა მოთქმით მიწას მიაბარა, ცამ ცრემლი დააყარა ცის ცრემლით მორწყულ საფლავზე თითო ობოლი ცისფერი წითელგულა ყვავილი ამოვიდა.

— მარტო ვარ მარტოობაშიო!—შესჩივლა ცასა ერთმა ყვავილმა.

— მარტო ვარ მარტოობაშიო!—შესჩივლა მეორემ.

— მარტო ვარ მარტოობაშიო!—შესჩივლა მესამემაც და სამივეს სევდით სავსე გულმა თავები დაახრევინა.

ქარის შხუილი მოედვა სივრცეს და თვითეულმა ყვავილმა თავი მაღლა აიღო.

— მივდივარ, მივექანებიო!—გაიძახოდა ამაყად ქარი.—საითაც პირს ვიზამ, იქით დავიდებ გზასო. რას მიქვიან დაბრკოლებანიო? მე ვერა შემაფერხებს რაო.

— ჩემ საფლავზე გადმოივლისო!—წამოიჩურჩულა ერთმა წითელგულამ.

— ჩემ საფლავზე გადმოივლისო!—წამოიჩურჩულა მეორემ.

— ჩემ საფლავზე გადმოივლისო!—წამოიჩურჩულა მესამემაც იმედიანად და მადლობის თვალი გადაავლო ცასა.

— მათი ნახვა მწყურიან, მათი ნახვაო!—შესწუწუნა ერთმა წითელგულამ ქარსა.—იქ ამიყვანეო,—შეეხვეწა და მაღალ გზაზე ანიშნა.—იქიდან მინდა ჩემი ორი ძმობილის საფლავი დავინახოო. მაღალია, მოეჩვენებაო.

დატრიალდა თითისტარივით ქარი, დატრიალდა, შემოურბინა ყვავილს და ძირიან-ფესვიანად ამოიღო, შეაბორიალა და მთაზე აიტანა. შემოუყარა ფესვებზე მიწა და ისევ თავის გზას დაუბრუნდა.

— იქ ამიყვა, იქაო!—შეეხვეწა შორიდანვე ქარსა მეორე წითელგულა.—მე მინდაო...

— ჰამ! ვიცი, რაც გინდაო!—შეაწყვეტინა ქარმა სიტყვა აი ამ წამსვეო...

სთქვა და ამოაძრო სწრაფად ყვავილი საფლავიდან დანიშნულ ადგილს გადაიტანა და პირველ ყვავილს მიურგო გვერდითა.

ქარმა მესამე ყვავილიც აიტანა მთაზე და ორ პირველს მოურგო გვერდით.

ერთად თავმოყრილ წითელგულებს სიხარულით გული აუჩუყდათ: იცნეს ერთმანეთი. მაგრამ გაბუტულებივით თავები აქეთ-იქით მიიღეს. თავის გულისნადები ვერ გაამხილეს. სამივეს სულებმა სიხარული დამალეს და გულები ბოღმა-ვარამით აავსეს, ისე რომ ვერც შავმა მიწამ გაასწორა ის სამი ძმობილი. ქარი თუ აუწევს თავებს და შეახედებს ერთმანეთს. თორემ ისე სულ გაბუტულებივით არიან და თავჩაქინდრულები დასცქერიან მიწასა...

მწყემსი დაჩუმდა და თავის სამწყსოს თვალი აადევნა სახეზე მწუხარება დაეტყო.

— ეჰ! ძნელია გულჩათხრობილი კაცის ცხოვრება.—წამოიძახა ბოლოს ოხვრით და სალამურს ხელი წავლო. თავისი დარდი-ვარამი ტკბილ ჰანგებს გადაჰყოლა.

ინ-ზანი.

...ებულ ცნობით ახალ-
...ბა სახალხო განათ
...ან გახსნილ 1 მი-
...ის შემწეობით
...კოლის შენობების
...ქი დროს ერობა შეუდ-
...ის ჩაბარებას. ჯავახეთის (ახ.
...კოლების შესაკეთებლადაც საჭი-
...ი იქნება არა ნაკლებ ერთი მილიონი მანეთისა. განზრახულია შეაკეთონ 20 სკოლის შენობა. გამოიკვლიეს, რომ ყველაზე მეტათ სომეხთა სკოლებია დანგრეული. ადგილობრივ მცხოვრებთა და სოფლის ადმინისტრაციის ცნობით სომეხთა სკოლები ისმალებს დაუნგრევიათ. შედარებით სასურველ მდგომარეობაშია ქართულ სოფლებში არსებული სკოლები და კიდევ უკეთესს მდგომარეობაში დუხობორთა სოფლების სკოლები. ადგილობრივი ერობა და სკოლის ადმინისტრაცია უკვე შეუდგნენ შენობათა შეკეთებისათვის საჭირო ხე-ტყის მასალის ძებნას. წარსულ სასწავლო წელს ახალციხის მაზრაში არსებობდა 14 სკოლა, აქედგან 5 სკოლა თავად ახალციხეში. ამ ხუთ სკოლაში ერთი უმაღლესი პირველ დაწყებითი სკოლა იყო ქართული და სომხური კლასებით, 9 სკოლა კი არსებობდა მაზრაში. მომავალ სამოსწავლო წელს მესხეთში იხსნება 10 ახალი დაწყებითი სკოლა. ჯავახეთში წარსულ წელს ოთხი სკოლა არსებობდა, ამათში ერთი უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელი იყო. წელს სკოლის შენობების შეკეთების შემდეგ გაიხსნება 16 ახალი დაწყებითი სკოლა. ახალციხის სამაზრო ერობა იუწყება, რომ მესხეთ-ჯავახეთში საჭიროა მასწავლებლები. ვისაც ჰსურს მესხეთის საერობო პირველ დაწყებით სკოლებში მასწავლებლობა, სათანადო თხოვნა ახალციხის სამაზრო ერობაში უნდა შეიტანოს. ჯავახეთში სამსახურის მსურველმა კი სათანადო თხოვნა უნდა შეიტანონ სახალხო განათლების სამინისტროში პირველ დაწყებით სკოლების მთავარ-გამგესთან სადაც შეიძლება აგრეთვე საჭირო ცნობების მიღებაც.

## მოუსვენარი გვარდიელების დაჭერა.

მიმდინარე თვის ცხრამეტს, კოჯორში მცხოვრებ მიხეილ გიორგის-ძე ბოშარაულს თავსდაესხმენ ბოროტმოქმედნი. ჩვიდმეტი ათასი მანეთი წაართვეს ფულად, ამასთანავე გაიტაცეს ოქროული და ბრილიანტებით მოჭედილი ნივთები, რამდენიმე ასი-ათასად ღირებული. ეს ამბავი დაუყონებლივ ეცნობა კოჯორის მილიციის უფროსს ბ. მახარაძეს. ამ ცნობების მიღებისთანავე მახარაძე მილიციონერებით დასდევნებია მძარცველთ და მალე წამოსწევია კიდეც. ამტყდარა სროლა, რომელმაც თითქმის ორ საათზე მეტს ხანს გასტანა თურმე. სროლის დროს არც ერთი მხარე არ დაზარალებულა. დაჭრილა მხოლოდ თვით მახარაძე, ისიც მსუბუქად. გათენებისას, დილის 4—5 საათზე, მახარაძემ და მილიციონერებმა ერთი ბოროტმოქმედთაგანი შეიპყრეს, სპირიდონ კოპიას-ძე ხუხურცი, რომელმაც გასცა თვისი ამხანაგები: ივანე ალექსანდრეს-ძე ლოლობერიძე, კოტო მანუჩარის-ძე კაკაშია და სიმონ გიორგის-ძე გაბელია. ორი მათგანი კაკაშია და ლოლობერიძე იმავე დღეს შეპყრობილ იქმნა, ხოლო გაბელია გადიმალა. დაჭერილთ აღმოაჩნდათ ფული და ნივთეულობაც, გარდა ბრილიანტის საყურეებისა. როგორც ბ. მახარაძე ტელეფონოგრამით ატყობინებს რესპუბლიკის ადმინისტრაციის ინსპექტორს, ბოროტმოქმედნი ყველანი ცხენოსან დივიზიონის გვარდიელები აღმოჩნდნენ. გაბელიას დასაჭერად მიღებულია სასტიკი ზომები.

## მოქალაქის წერილი.

დარწმუნებული ვარ მრავალი ჩაუკვირდებოდა იმ მწარე საკითხს, რომელიც გამოიწვია თბილისში მცხოვრებთა რიცხვის ასე საოცრად გადიდებამ. რაც ჩვენი რესპუბლიკა სომხეთსა და აზერბეიჯანს ჩამოშორდა, ცხადია, ხალხიც უნდა შემცირებულიყო! ანდა რატომაც არ უნდა შემცირებულიყო, როდესაც უწყებები შემცირდა და ბევრიც, ვისი დარჩენა შესაძლებელი უნდა ყოფილიყო, ენის უცოდინობის გამო შტატს გარეშე დარჩნენ, ჩანს, საცხოვრებელი სარბიელი სხვაგან უნდა ეძებნათ. მაგრამ რა ბრძანებაა! მცხოვრებთა რიცხვი არა თუ არ შემცირდა, თითქოს ჯადოსნურ წკეპლის დარტყმით კიდეც გაიზარდა. საიდან, როგორ? თავს რითი ირჩენენ? რით და ათასნაირი სპეკულიაციით. ეს ისეთი იოლი და ხელსაყრელი ხელობაა, რომ ყველა ადვილად იგებს. მთავრობაც ხომ ხელოვნურად ხელს უწყობს ამ მუქთა ხორა ხალხს იმით, რომ მათ ნება აქვთ თავისუფლად იცხოვრონ ჩვენს რესპუბლიკაში. სხვა არა იყოს რა, მათი აქედან დაძვრის საკითხი ბინის საკითხზეც არის დამოკიდებული. როგორც მოგეხსენებათ ბინიდან მდგმურს დათხოვნისა ან და ფასის მომატების უფლება არა აქვს სახლის პატრონს, ამ ზედმეტმა ხალხმა კი ხელოვნურად გამოიყენა ასეთი წესის შემოღება. ძველთაგანვე ისინი მოხელეები იყვნენ. ყველას საუკეთესო ბინები ჰქონდათ ოთხ—ხუთ ოთახიანი ხშირად ათ-თხუთმეტ მანეთში დაქირავებული.

ამ ათ-თხუთმეტ მანეთს ეხლაც იხდიან ის ვაჟბატონები და სახლის პატრონს მუშტი-კრივითაც დაემუქრება, თუ ამ უკანასკნელმა ცოტაოდენი მომატება სთხოვა. ესეც არაფერი. სახლის პატრონი ჰხედავს, რომ წვიმა ავდრისგან სახლი ენგრევა, სალსარი არა აქვს საჭირო რემონტი უყოს, მაშინ როდესაც მისი მდგმური კანონის ძალით აქირავებს თავის ბინიდან ორ-სამ თვალს და აქედან თვეში ორას სამას თუმანსა რჩება ისე, მუქთად. იცით სადა სჭრის ეს ამბავი? დაფიქრებულხართ?

ეს ახალმოდის სახლისპატრონი ოთახების გაქირავებაში ხელოვნურ ძალებს ამამს, რა თქმა უნდა, ზედმეტის ასალებად: აქირავებს თვითონ თვითო ოთახობით. გაჭირვება ჰქვიან, გაქცევას გიჩვიენით, რაკი ჩვენს რესპუბლიკას ფეხიანი და უფეხო აშენებს როგორც ერთ დაწყნარებულ კუთხეს, სადაც ადამიანს ადამიანურად შეუძლება ცხოვრება, ჩვენს დედა ქალაქში ოლონდ ერთი თავი შესაფარი მიეცით და სულსაც არ დაიშურებს. აი, ამით აიხსნება, რომ ძველი მოხელე, ეხლა ახალ მოდის სახლისპატრონი, სამს ოთახში სამს ოჯახს ათავსებს, ისიც საეჭვო ელემენტისას ხალხს, რომელნიც იმის გარდა რომ ქართველ ხალხს ზედმეტ ლუკმას გვტაცებენ, ჩვენი რესპუბლიკის საწინააღმდეგო პროპაგანდასაც ეწევიან. და უცდიან რაიმე ამბავი მოხდეს, რომ ობობებსავით გამოცოცდნენ და ყელში წაგვწვდნენ. ამნაირად, უსაქმოდ დარჩენილი ძველი მოხელე ჩვენთვის მუქთახორობისა და მავნებლობის ელემენტად გარდაიქცა. რომ მათ ბინების გაქირავების უფლება არ ჰქონოდათ და სახლის პატრონებსაც სახლისპატრონობის ნასახის უფლება ჰქონოდათ, მერწმუნეთ, ჩვენი თბილისი ადრე გაიწმინდებოდა უცხოელთაგან და არც საჭირო იქნებოდა რამოდენიმე დეკრეტის გამოცემა მათ (უცხოელების) გასარეკად, რომელსაც ჩვენდა სავალალოდ ცხოვრებაში გატარება არ შესწევს. ჩემის აზრით, არც ერთი დეკრეტი ვერ გასთიშავს ამდენ მავნე დარჩენილ ელემენტებს, როგორც ის რომ სახლის პატრონს დაუბრუნდეს თავის უფლება იგრძნოს რომ მართლა ისაა სახლის პატრონი და არა მისი მდგმური, ღმერთით ზომიერი უფლებებით და მაშინ ნახვთ, თუ უცხო მდგმურები და მდგმურის მდგმურები როგორ აიყარნენ და გუდანაბად შეკრულებმა არ მიაშურონ თავიანს ქვეყნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერც სიძვირეს შევამოკლებთ, ვერც სურსათ-სანოვაგის დოვლათიანობას ვიხილავთ და პარაზიტ პირებს არა თუ ვერ შევამცირებთ, წავაქეზებთ კიდევ უარესად მოგვეძალნენ, ვიდრე ჩვენს ქვეყანას ნიადაგს არ გამოუცლიან და არ დაჰლუპავენ...

ივ. კ—შვილი.

## ჩვენი კორესპონდენტები

### ქ. ქუთაისი.

უკანასკნელ დროს ქართულ პრესაში ბევრს ლაპარაკობენ ჩვენი ადმინისტრაციის საუკეთესოდ მოწყობაზე, —ევროპის სახელმწიფოებსაც კი თვალს დაუყენებსო. რა თქმა უნდა, ყველა მოქალაქის სურვილიც ეს უნდა იყოს. გარეგნულად თითქოს ეს მართლაც ასეა. ძარცვა-გლეჯამ იკლო, თვით ქუთაისშიაც კი, სადაც მთელი სისტემა იყო შექმნილი მცხოვრებთა ბავშვების დატაცებისა და გამოსყიდვისა, ეხლა მყუდროებაა. მაგრამ, ვამბობ, ეს გარეგნულადაა მეთქი. აი ეხლა ხანს მომიხდა ქუთაისში ჩასვლა და ბევრი გულის ამღვრევი ამბები გავიგე.

როგორც მოგეხსენებათ, რუსეთის საქართველოში ასი წლის ბატონობამ ერთი ყოვლად საზიზღარი და ყოველივე პატიოსნებას მოკლებული აზრი დაგვიტოვა, ვითომც ებრაელები გაურბოდნენ სამხედრო ბეგარის მოხდას. ჩვენ არას ვიტყვით იმის შესახებ, თუ როგორ იქცეოდნენ ებრაელები რუსეთში. მაგრამ ერთი მხრით ტერმინოლოგიურმა არევდარევამ და მეორეს მხრით ისრაელ-ქართველთა ვინაობა-რაობის არ ცოდნამ, ეს საზიზღარი აზრი და უსამართლო ბრალდება ისრაელ-ქართველებსაც მოახვია თავს. ვისაც არ ჰკითხავთ, ინტელიგენტსაც და არა ინტელიგენტსაც, თანამდებობის პირსაც და ჩვეულებრივ მოქალაქეს, ხალხის მიერ არჩეულნიცა და თვით ამომრჩევლებიც, ადმინისტრაციის მოთავენიც და მათი ხელქვეითნიც — ყველნი მოურიდებლათ მოგაძლის თავში: „კაცო, თქვენები (ისრაელი ქართველები) ყოვლად სამაგალითო მოქალაქენი არიან, მაგრამ ჯარში სამსახურს მაინც გაურბიანო". მაგრამ გულცივი სტატისტიკა გაცილებით სამართლიანია, ვიდრე რუსის ხალხის მიერ დატოვებული შხამიანი აზრი. რას გვეუბნება იგი? მარტო ერთ ქალაქ ქუთაისში.

ამ ჟამად სამასზე (300) მეტი ახალგაზრდა ისრაელი-ქართველი მსახურებს სხვადასხვა სამხედრო ერთეულებში. არ შეხვდებით საქართველოში რომელიმე ათასეულს, ან ეუნდს, ან რომელიმე სამხედრო ნაწილს, რომ 40-50 ახალგაზრდა ჯარი-კაცი ისრაელი-ქართველი არ ნახოთ. განა იმათი ბრალია, რომ არ განირჩევიან არც სახით, არც ენით, არც ერთგულებითა და არც სიმხნევით ქრისტიან ქართველ ჯარის კაცებისაგან. შეიძლება ბევრი იმას შეჰყავდეს შეცდომაში, რომ ისრაელ-ქართველი ახალგაზრდები ძველებურად აღარ ატარებენ გრძელ წვერებს? მაგრამ ეს ხომ სრულიად ვერ დაჰფარავს იმ ფაქტს, რომ ამ ჟამად ათასზე მეტი ისრაელი-ქართველი ახალგაზრდა იმყოფება საქართველოს მხედართა შორის, *) რაშიაც ჩემის პირადის გამოძიებით დავრწმუნდი. და ამის შემდეგ იმ დიდს მორალურ გამართლებას ვაძლევ იმ აღშფოთებას, რომელიც გამოიწვია ჩემში ქუთაისის ისრაელ-ქართველთა შეწუხება—შევიწროებამ ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ. ყოველი მობილიზაციის დროს, ან ახალგაზრდათა მორიგი დაძახებისას, იმ ისრაელ-ქართველის ოჯახში, რომელშიაც საჯარისკაცო ახალგაზრდა მოიპოვება, საშინელი დაუწერელი ტრალედია ტრიალებს. ჯერ სათანადო ბრძანება არც კი მიუღია ადგილობრივ მართველობას, რომ მთელი მილიცია ფეხზეა დაყენებული და ყვავ-ყორანთა გროვასავით მოედება იმ უბანს, რომელშიაც უმთავრესად ისრაელი ქართველები სცხოვრობენ. ეს არასფერია, თუ წაიყვანენ იმას, ვისაც სამხედრო ბეგარა აქვს მოსახდელი, მაგრამ საქმეც ის არის, რომ მილიცია ამით არ ჰკმაყოფილდება. ვინაიდან ისრაელ-ქართველთა უმრავლესობა ვაჭრობას ეწევა, მათი მეტი ნაწილი არ იმყოფება ხოლმე ქუთაისში და ხან სტამბოლშია, ხან ბათომში, ხან კიდევ საზღვარ გარედ წასული საქონლის მოსატანად. ქუთაისის მილიციის უფროსის ბ-ნ მაღნარაძისათვის კი საკმარისია ის ფაქტი, რომ ბეგარა მოსახდელი შინ ვერ მონახოს, რომ დაატუსაღოს უკანასკნელის დედა, მამა, ცოლი, ნათესავი, ან კიდევ სხვა ვინმე მისთვის არ არსებობს არავითარი საქმის გამოძიება. მას არ აინტერესებს გაიგოს მართლა დამალულია ჯარში გასაწვევი, თუ ის ქუთაისში არ იმყოფება. ის ანგარიშს უწევს მხოლოდ იმას, რომ ჯარში გასაწვევი შინ არ არის და იძლევა მხოლოდ ძველი პოლიცმეისტერისებურ ბრძანებას. ამისა და მის მამა, ძმა, ცოლი. ან სხვა ვინმე დაატუსაღეთო. მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ დატუსაღებული ვერ ეღირსება მილიციელთაგან ადამიანურ მოპყრობას. მხოლოდ ჩვენ გვინდა შევეკითხოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს: იცის თუ არა მან რამ ქუთაისის მილიციის უფროსის ასეთი უკანონო და აღმაშფოთებელი საქციელის შესახებ და თუ იცის რა ზომებში აქვს მიღებული მოქალაქე ისრაელ-ქართველთა კანონიერი, ადამიანური უფლებების დასაცავად? მე მეუბნებიან, ქუთაისის მილიციის უფროსი ბ-ნი მაღნარაძე სამაგალითო აღმასრულებელი პიროვნებაა არის, ყოვლად პატიოსანი და რაც უფრო ღირს შესანიშნავია, მექრთამე არარის. აი ის თქმა, რომელმაც ყველაზე უფრო გამაკვირვა. მე არ შემიძლიან მას პატივი არა ვსცე, როგორც კარგს აღმასრულებელს, მართლაც პატიოსანს, მაგრამ ნურას უკაცრავათ, თუ მადლობა არ ვუთხრა იმის გულისათვის, რომ ის მექრთამე არ არის. ის მოვალეა ასეთი იყოს და მადლობის ღირსი კაცი არაა მხოლოდ იმიტომ, რომ ბოროტმოქმედი არ არის. ის მოვალეა დაიჭიროს დამნაშავე დეზერტირები, უსასტიკეს ზომებს მიმართოს მის წინააღმდეგ, მაგრამ რაშუაშია აქ მისი მამა, ცოლი, ან სხვა ვინმე? გაგონილა, რომ დამნაშავის ოჯახი პასუხს აგებდეს კანონის წინაშე? რომელი სახელმწიფოს სამართლიდან ამოიღო ეს ბ-მა მაღნარაძემ. ქუთაისში შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ იფიქრებ, თითქოს ქუთათელი ისრაელი-ქართველები კანონს გარეშე იყვნენ გამოცხადებული. ამიტომ, ვფიქრობ, მეტი არ იქნებოდა კეთილინებებია შინაგან საქმეთა უწყებას და ქუთაისის ქალაქის თვითმართველობასთანა და დამფუძნებელი კრების ზოგიერთს წევრებთან ერთად მოეხდინა ადგილობრივ გამოძიება, რათაც სამართლიანობის დაცვასთან ერთად დაარწმუნებდა შეშინებულსა და უზომოდ შეწუხებულ ქუთათელ ისრაელ-ქართველებს, რომ მართლაც დემოკრატიული დედა-საქართველო არის მათი მფარველი, და არა რომელიმე თვითნება „სამოდური" ადმინისტრატორი.

ი ხანანაშვილი.

*) ვფიქრობთ, რომ მეტი არ იქნებოდა კეთილ ენებებია სამხედრო უწყებას და მოეხდინა ანკეტა იმის შესახებ, თუ რამდენი ისრაელ-ქართველი ახალგაზრდა მსახურებს საქართველოს ლაშქარში, რითაც დიდს სამსახურს გაუწევდა ჭეშმარიტების აღდგენის. ა. ხ.

### ქ. გორი.

„როგორც სოკოები წვიმის შემდეგ" ისე მრავლად იყვნენ ქ. გორში თითონ „დრამატიული" წრეები. იგინი ადვილად და თოლად აღმოცენდებოდნენ და კვლავ საჩქაროდ, მეტეორისებურად ჰქრებოდნენ. მათი გაჩენა არავის არ ახარებდა, მათი სიკვდილი არავის აჭუხებდა.

ალბათ ერთი მათგანი იქნება ის „დრამატიული" წრე „ხელოვნება", რომელმაც კვირას, მარიამობისთვის 20-ს გამართა მეორე წარმოდგენა გორის საზოგადო საკრებულოს საზაფხულო დარბაზში.

ხალხი ბლომად დაესწრო და კვლავინდებურად უხმლოეს და ცხარე მონაწილეობას იღებდა წარმოდგენის მსვლელობაში, რეპლიკებითა და ხმაურობით. ანტრაქტების დროს უკრავდა სამხედრო მუსიკა, საღამო ცეკვით დასრულდა და საზოგადოება, როგორც იტყვიან ხოლმე, „ნასიამოვნები დაიშალა".

წარმოდგენილ იქმნა ორი პიესა, ერთი ახალი, არავისაგან არ ცნობილი, სახელად „სიკვდილის ცეკვა", მეორე მოძველებული ყველასაგან ცნობილი, „ჯერ დაიხოცნენ და მერე იქორწინეს".

უკანასკნელის შესახებ ვიტყვით, რომ მან მხიარულად და დამაკმაყოფილებლად ჩაიარა, მოხდენილად თამაშობდნენ და კარგი იყვნენ გულისაშვილის ქალი და ბ-ონი ჯავახელი და ა. გოსიტაშვილი.

ახალ პიესაზე „სიკვდილის ცეკვა" ცოტა ხანი შევჩერდეთ.

მისი ავტორი გორელია, თვითვე ასრულებდა უმთავრეს როლს და თვითვე „რეჟისორობდა" საკუთარ პიესას. მიუხედავად იმ შრომისა და ენერგიისა, რომელიც დაუხარჯავს ავტორს ამ პიესის, ჯერ დაწერით და მერე წარმოდგენისათვის მომზადებით,—მაინც პიესამ, ფრიად სუსტად, ჩაიარა. ამას ხელს უწყობდა თვით ავტორი, რომელიც სიყვარულით გატაცებულ გმირის ასახვაში კომიზმამდის მიდიოდა; თუმცა ლიპარტიანის შეცდომებში კი პიესის ავტორს უფრო მეტი ცოდო და ბრალი მიუძღვის.

ამ ნაწარმოებს მარტო ეს ერთი ნაკლი არ აქვს; და უმთავრესი ისაა, რომ მთელი ადგილები გადმოწერილია სხვა ავტორიდან. მაგალითად, შვილის და დედინაცვლის საუბარი ქალების გათხოვების შესახებ სიტყვა სიტყვით არის გადმოწერილი ა. ყაზბეგის მოთხრობის „განკიცხულის" მეორე თავიდან, სადაც ლევანი და მარი ერთმანეთს საუბრობენ იმავე თემის შესახებ.

საერთოდ ა. ყაზბეგისას ახალგაზრდა ავტორზე დიდი გავლენა მოუხდენია.

ნაწარმოებს ჰქვია მხატრული და თუ რად ეს მსმენელთათვის და ალბათ თვით დამწერისათვისაც საიდუმლოებას შეადგენს რადგანაც მასში მხატვრული არაფერია.

იქნებ იმიტომ, რომ მთავარი გმირი პროფესიით მხატვარია?!

ი. ჯავახი.

## ბირჟის ცნობები.

## 25 მარიამობისთვის ბიულეტენი.

| | სასყიდათ | გასაყიდ. |
|---|---|---|
| ინგლისური გირვანქები | 5400 | 5600 |
| ინგლისური ჩეკები | 5200 | 5300 |
| ფრანგული ფრანკები | 120 | 125 |
| „ ჩეკები | 102 | 105 |
| იტალიური ლირები | 87 | 89 |
| „ ჩეკები | 84 | 86 |
| გერმანული მარკები | 50 | 51 |
| „ „ | — | — |
| ავსტრიული კრონები | 12 | 1[illegible] |
| „ „ | — | — |
| ამერიკული დოლარები | 1700 | 175[illegible] |
| ამერიკული ჩეკები | 1600 | 165[illegible] |
| ოსმალური ლირები | 1400 | 145[illegible] |
| „ ჩეკები | არ | არის |
| „ ოქრო | 6900 | 700[illegible] |
| სომხეთის | 22 | 2[illegible] |
| აზერბაიჯანი | 32 | 3[illegible] |
| რუსეთის ოქრო 10 მ. | 8000 | 820[illegible] |
| „ნიკოლოზის" მსხვილი | 16000 | 1700[illegible] |
| „ნიკოლოზის" წვრილი | 11000 | 1200[illegible] |
| „კერენკები" 1000 მ. | 3500 | 370[illegible] |
| „ 250 მ. | 1800 | 200[illegible] |
| „ წვრილი | 45 | 4[illegible] |
| საბჭოთა რუსეთის | 30 | 3[illegible] |

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: სპ. კედია.

**დაიკარგა** სამსახურის ნუსხის დუბლიკატი № 1785, მოცემული ქუთაისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 14 გიორგობისთვეს 1919 წ. აკაკი ამბაკოს-ძე იამანიძის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საჭიროა მოსამსახურე ქალი.**
მოიკითხეთ „საქართველოს" კანტორაში. 4—7—1

**იყიდება სამოსახლო მიწები**
**ქუთაისში** ვეგუთის ქუჩაზე კალაქის ბაღის ზემოთ. საუკეთესო მიწა, ზომით 3 დესეტინა.
**ფოთში** სამი ნაჭერი საუკეთესო ქუჩაზე 2000 კვ. საჟ. იკითხეთ „საქართველოს" კანტორაში. 1—54—0

**საქართველოს სავაჭრო სამრეწველო ცენტრალურმა ბანკმა გახსნა განყოფილება ბორჯომში**

აწარმოებს ყოველივე საბანკო ოპერაციას. მოაგარაკეთა ოჯახობას შეუძლიათ თბილისიდგან მთავარ გამგეობაში გახსნილ მიმდინარე ანგარიშიდგან ბორჯომში მიიღონ ნაღდი ფული. გადაგზავნა-გადმოგზავნა თანხის გადაიდებულ წესით ხდება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან